პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2023 წლის —— ივნისი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, ვაჟა–ფშაველას ქ. N7–ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გურამ ჩიგოგიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. გურამ ჩიგოგიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ვაჟა–ფშაველას ქ. N7–ში არსებულ საცხოვრებელ განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალის–წინებული მემორიალური განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს შპს რადიო ჰოლდინგი „ფორტუნა“.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ვაჟა–ფშაველას ქ. N7–ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე გურამ ჩიგოგიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

დიდმა ქველმოქმედმა, საუკეთესო მენეჯერმა და ხელმძღვანელმა გურამ ჩიგოგიძემ რადიო „ფორტუნა“ ამერიკელ პარტნიორებთან, „მეტრომედია ინთერნეშენალთან“ ერთად 1998 წელს გახსნა და უდიდესი გადატრიალება მოახდინა ქართული რადიომაუწყებლობის სფეროში. სწორედ გურამ ჩიგოგიძის ინიციატივით შეიქმნა დღეს ისეთ პოპულარული რადიოსადგურები, როგორებიცაა „ფორტუნა პლუსი“, „არ დაიდარდო“ და “ავტორადიო“. მოგვიანებით კი ჰოლდინგს მუსიკალური ტელევიზია „მიუზიქ ბოქსიც“ შეემატა.

გურამ ჩიგოგიძის ხელმძღვანელობით პირველად ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა საუკუნის ფესტივალი, პირველი მუსიკალური დაჯილდოვების ცერემონია, შეიქმნა უამრავი პროექტი. პირველად ქართული რადიო სივრცეში, „ფორტუნა“ გახდა მთავარი, მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდამჭერი და მედიაპარტნიორი. სწორედ გურამ ჩიგოგიძის ხელმძღვანელობით „ფორტუნა“ გახდა პირველი მედიაჰოლდინგი, რომლის ოთხი რადიოსადგური პირველ ოთხეულს ინაწილებდა ეროვნული რადიოების რეიტინგში.

გურამ ჩიგოგიძე აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საქველმოქმედო პროექტებშიც. მან მონაწილეობა მიიღო კავთის წმინდა გიორგის და კავთის წმინდა მარიამის ეკლესიების, ასევე კატაულას წმინდა გიორგის ტაძრის აღდგენაში. მონაწილეობას იღებდა მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის მშენებლობაში. ფინანსურად ეხმარებოდა სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებს.

1997 წლამდე გურამ ჩიგოგიძე სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა. გახლდათ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე. რადიოს გახსნის შემდეგ კი თავი მთლიანად მედიას მიუძღვნა. ბოლო წლებში ის საქმიანობას ავადმყოფობის გამო ჩამოშორდა, თუმცა ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული რადიოჰოლდინგის პროექტებსა და ახალ წამოწყებებში.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ვაჟა–ფშაველას ქ. N7–ში არსებულ საცხოვრებელ განთავსდეს გურამ ჩიგოგიძის სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

შპს რადიო ჰოლდინგი „ფორტუნა“

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი არ გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

შპს რადიო ჰოლდინგი „ფორტუნა“

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან ცხოიძე**